

# თეატრი

№ 45

საყოველ-კვირთა სულიტერატურა და სანსკეტურო გაზეთი.

№ 45

ფ. გომოგომოსიძეს

გამომცემად ყოველ კვირათხი

1886 წელსა.

უფასო გაზეთი „თეატრი“-სა  
ერთის წლით..... 5 მან. X სსსკვარ წლით ... 3 მან.  
სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება:  
თბილისში რედაქც. კონტორაში წმინდასაყულ ქარვას.  
უფროსი ბ-ნი ბესარიონ კალანდარიძესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისუიდება: თბილისში: ჩარკტიანის წიგნის მაღაზიაში, შვედროვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პ. პირაზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები; კორექტიონების, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთი თვეს. სტატიების უფასო გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს.

რედაქცია უპირაძიებს სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარეკით იყვნენ დაწერილი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Артируи № 110.

## ქართული თეატრი

ღღეს ქართულის დრამ. დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

### I

რაკ გინახავს ველარ ნახავ!

კომედია 3 მოქმ. ავ. ცაგარლისა

### II

ბუშმა იზარძნო

ვოდვეილი 1 მოქმედებად

მონაწილეობას მიიღებენ: საფა-აბაშიძისა გაბ-ცაგარლისა, მ. ლეონიძისა; მედიკოსისა, ბ-ნი აბაშიძე, აწუურელი; მესხიევი, ტყეაველი, მაქსიმიძე, ნუბიერიძე და სსვანი.

დასაწყისი სწორეთ 7 1/2 საათზე.

## თეატრი

ქართული თეატრი

წარსულს კვირას, 2 ნოემბერს, ქართულმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა გ. სუნდუკიანცის ცნობილი კომედია *ახათაბაღი*. ამ პიესის შინაარსი მეტად კარგად იცის ყველამ, რომ კიდევ საჭირო იყოს მისი განმეორება. მაში ინახება ღვიძლი ცხოვრება მისი თვალთ მაქცობა-ძალადობით და დრამატულ კომიტეტი მეტად თვალ-საჩინო არტისტები შეურჩივა, მაში გამოჩეულის თვისებების უფრო ცხოვლად გადმოსაცემად. კ. ყიფიანი (ზამახოვი) თავისი მშვენიერის და გონიერულის თამაშობით გაცვეთილს, ცხოვრებასთან მოანგარიშე ვაქრის, როლში რომელსაც სრულის გულითა ჰსურს როგორმე მოიშოროს თავიდან თავისი გონჯი ქალი და ამის საშუალებათ სასიძოს კისერში წოდმასაც არ


სთაკილობს; მეტის მეტად ჩინებული რამ იყრ. ამ არტისტის მონაწილეობა ყოველთვის და ყოველს შემთხვევაში, უმნიშვნელო როლიცა ჰქონდეს, მაინც სასიამოვნო იგი ბურჯია თეატრისა, უმისოდ თუნდ ჩვენი სცენა ჩვეულებრივ ფერს მოკლებულია მ.საფ აბაშიძის თავის როლს გულ-მოდგინეთ ეკიდებოდა და თავისი ფერც დაატყო. ბ. მესხიევი ურიგო არ იყო თავის როლში, ახალ-გაზდა სწავლა მიღებული კაცისა, რომელსაც შემთხვევით შეჰხვდება ნატალია (საფარ-აბაშიძისა) და ტრფობის მორავეში შეატოპინეს. თუმცა, ალაგ-ალაგს ტრაგიკულ მიხერა-მოხერასა და სჯას ეძლეოდა. ბ. აწყურელმა (ისაია) ცოცხლადა წარმოგიდგინა თუმცა ზოგიერთსა ადგილას სისუსტე ვერ აიცილა თავიდან და არც ისეთი იყო, როგორც შეეძლო ყოფილიყო მაშინ, როდესაც უფრო მეტად დააკვირდებოდა თავის როლს და თვის საკუთარს თვისებას, ნიქს ზოგან; მაგ: უკანასკნელს სცენაში, საცა შეიტყობს, რომ გიორგის იმის ცოლი უნახავს, ალტაცებაში მოიყვანა ხალხი თავის მიზანძვით და ნიქით.

მ. ლეონიძისა მარგალიტა უფერული რამ იყო ვერ შეიძლო გამოეჩაბა ხასიათებით რიგი-ნის და სახით გონჯის ქალის სულის მამართულება გულით და ცხოვრების პირობებით დაერდომილი, მიწასთან გასწორებული პიროვნება მაგრამ ამასთან არც ეს უნდა დაეიფიწყოთ, რომ მარგალიტას როლის შესრულება უეკეთესად არ შეიძლება, რადგან თვითონ აეტორს ვერ გამოუხატავს მარგალიტა ისე როგორც სდომნია-გიორგის დედის როლში ხელოვნება ემჩნეოდა... პატარა შენიშნაუკომიტეტს ამ არტისტ ქალის შესახებ. სწორეთ რომ არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მა: ურბლებზე მისმა ორი როლის ერთად თამაშობამ... ჩვენ როგორღაც გვეჩოთირა, რომ ჯერ მარგალიტა მერე გიორგის დედით გადაიქმნა...

ბ. მაქსიმისესაც არ უჭირდა რა, რომ ჩვეულებრივი ერთ ფერობა ეხლა მაინც თავიდან აეცილებინა....

განა თქმა და უნდა რომ ნ. გაბუნია ცაგარლისა მშვენიერი იქნებოდა იმისთანა როლში, როგორც მაქთალას როლია! მართლაც, თვალ წინ წარმოგიდგა მაქაკლობისაგან და ფულების კრფით გრძნობა მოკლებული დედაკაც, რომელიც თავის სარგებლობას და მაქაკლობას მაშინაც ვერა სტოვებს როდესაც თავის დისწულის ცოლის შერთვაზე საუბარი.


ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და მოთამაშენიც, თავიანთის რეჟისორით და ხელ-მძღოლით ბ. თუმანოვი უხეად დააჯილდოვა ტაშის კერით და ეაშის ძახილით. ჯერ პიესა არ გათავებულყო, რომ ა. სუნდუკიანცი, აეტორი პიესისა, გამოიწვიო ხალხმა და მადლობა გალუხადა.



—ს.

ნეტა ვიცოდე, იმ დღეს აქეთ, რის პირველ გნახე, მს რადის თვალ წინ რისთვის მიდგას მე შენი სახე?... ნეტა ვიცოდე, მარად შენზედ რად ჭფიქრობს გული, მარადის შენგან რად ისწავფვის, რისთვის ჭფრენს სული, და რცა გხედავ, თვალნი რისთვის მიშტერდებან, სახეზედ ტრესლი რად შედება, ტუხნი ჰჭრთებან, გული საოცრად რისთვის მიძგერს აღუგებული, და, ვით ფოთოლი, რად კანკალებ აღშფოთებული!... ნეტა ვიცოდე, ამ გვარი რამ შენში თუ ჰსდება, ნეტა ვიცოდე, შენც ესევე თუ გეძრთება?... თუ ასეა... თუ ცოტას მაინც გრძნობ ამ გვარ რამეს. გთხოვ მალე მითხარ... ნუ მომაკლებ წუთის სიამეს, და თუ არ... მაშინ გვედრება ანა მითხარ რა!... და მინამდის, სახამდისაც მთლად არ მომაკვდარა, ჩემში ეს გრძნობა... ოთხ თვიანთ შვა, ბნელს სამარეში, სულ... სულ ამ გვარად ვიყო მარად ჩემ სიცოცხლეში!... შენ გვერდი მსოლოდ არ წამართო ეს ნეტარება! შენით გსტოცსლებდე ჰქეყანასზედ რა გენაღვლება? რა გენაღვლება შენს შეკნებას ვუსრადე თავსა? რა გენაღვლება შენ მიდგამდე სულს მომაკვდავსა?... განა თვითონ მზე მთელის ჰქეყნის მაცოცხლებელი, მატლსაც არ ათბობს, არ არს მისი შემწუნარება... მას, გვედრები, თვით დიდებულს მზეს შეედარო და რის ესტებებოდე შენის ჭკრეტიო, არ მიმოფარო!!!...

—...ოტია...



**თეატრის კვირა**

ცხოვრება და სურათები

მაისის უკანასკნელი რიცხვები იყო. კვირა დღეა. იქნებოდა ხუთი საათი, როდესაც ხალხი აჩქარებით მიდიოდა ქუჩის კოლონიით. ამ ქუჩაში ყო-

ველთის დიდი მოძრაობა ხოლმე, მაგრამ დღეს ხალხი უფრო დაბეჯითებით მიეშურებოდა მუშთაი-  
ლისკენ, თითქოს იქ საილათ მოწვეული იყო. ქვე-  
ითები, ცხენოსნები, ეკლესიები ერთ-მეორის გასწ-  
რებას ცდილობდნენ. საზოგადოდ დადგება თუ არა  
გაზაფხული მუშთაილისკენ ტყეა აღარ არის ხოლმე.

— სოსო, შეხედე ერთი; ბიჭო შეხედე მეთქი!  
ასე ეუბნებოდა ერთი ვაჟი თავის ამხანაგს.

— ნეტა რას ხედავ? მიუგო მეორემ.

— შე, ღეთის ბრმავე, აი შეხედე, და კინა-  
ლამ თითით თვალი არ ამოთხარა.

— ბიჭო ხომ არ გაგიჟდი, ვის შეხედა.

— აი, იმ ჰამლეტ ლუარსაბიძე თათქარიძეს.  
ერთი კარგათ შეხედე! და—ამდროს კიდევ ანიშნა  
ერთი ახალგაზდა ყმაწვილ კაცზე, რომელიც მეორე  
ტროტუარზედ მიდიოდა.

ეგ ყმაწვილი კაცი იქნებოდა ასე ოცდაორის ან  
ოცდახუთის წლისა. კარგად მოყვანილი, მშვენიერი  
აგებულებისა, სრული მკერდ-ბეჭიანი, პატარა შავ  
წვერ-უღვაში ნაზად ევლებოდა მისი ვაჟკაცურ პირ-  
სახეს. ევროპიული ტანსაცმელი თითქოს უხდებოდა,  
რადგან (იარაღში და მიხვრა-მოხვრაში რაღაც ანა-  
ლაზობა, მოქანცულება ეტყობოდა.

რად უწოდა მაგ უსაქმო თუ საქმიანმა მსვლელ-  
მა ჰამლეტი ლუარსაბის-ძე თათქარიძე მაგისთანა  
ჯველ ყმაწვილს, რომელიც არც ხნით, არც შეხე-  
დულობით, და არც სხვა რამით არ ჰგვანდა არც პალეტს  
და არც ლუარსაბ თათქარიძეს? მაგრამ ჯერ მაგას  
თავი დაენებოდ და გავეყვით ჰამლეტ ლუარსაბის-ძეს.

იგი მიეშურებოდა მუშთაილისკენ, თითქო იქ  
ვინმე მოუთმენლათ ელისო და თან არც ერთს ფა-  
ეტონს, არც ერთს გამეღელ-გამოვლელს არ გაუშ-  
ვებდა ისე, რომ არ დაეთვალაფრებინა, თითქოს ეშ-  
ნოდა არ ამცდარ იყო და არ დაენახა.

მთელს მის არსებას ეტყობოდა რაღაც აფუხ-  
ფუსებულო ლოდინი და აღელვებული სურვილი საგ-  
ნის მისაღწევნათ.

ამ გვარად კიდევ მიიღწია მუშთაიდის კარებამ-  
დინ, აქ ცოტა შეჩერდა. აშკარად ეტყობოდა რომ  
ფიქრობდა, რომელი გზით წასულიყო.

— თუ მარჯვენა ხეინით წავალ, ვაი თუ მარც-  
ხენაში იყოს, თუ მარცხენივ წავალ, ვაი თუ მარჯე-  
ნივ იყოს და სანამ მე მთელს ბაღს შემოვივლი იქ-  
ნება კიდევ ამცდეს და ტყვილა—უბრალოთ დაეკარ-  
გო ამდენი დრო.

ამ ფიქრებში გართულმა, ვერც კი დაინახა,  
რომ კარგა ხანი გასტანა ამ უნაყოფო ფილოსოფია-  
ში და რომ მეფუტონეს ან დაეყირანა, იქნება მთე-  
ლი სათიჯ ასე მდგარ იყო შუა გზაზე—ფაეტონის  
გრილზედ უეცრათ შეერთა, თითქოს ვინმემ ტკბი-  
ლი სიხმრების შემდეგ გააღვიძო—და, აბუხად აგდ-  
ებულვით, გადაირბინა მეორე ხეივანზედ—აქ ცოტა  
შეჩერდა და რაღაც ძალდატანებით გასწია რაღაც-  
დღისკენ.

როტონდო გაჩაღებული იყო. სამხედრო მუსიკა  
„ვილჰელმ ტელლიდან“ უეცრით უკრავდა. ყველ-  
გან მოძრაობა იყო. კაცი, ქალი, ბებერი, ახალგაზ-  
და, დიდი-პატარა ერთ-მეორესთან დამხალვით არე-  
ულ იყვნენ.

ვის არ შეხედებით აქ? აგერ სტოლებს გარშემო  
ჩამომსდარან ჩასუქებული, ცხვირ წაწითლებული და-  
ბალ ხალხიდან მოყოლებული სხვა-და-სხვა ხარისხის  
მკანებელ კაცამდინ—შეეკცევიან; აქებენ კახურ  
ღვინოს და თან აძაგებენ და ლანძღამენ ღვინოს მწა-  
რმოებლებს... უამისოთ ხომ არ შეიძლება.—მეორე  
მხარეს სხედან სხვა წყაბა ხალხი, ორსული დედა-  
კაცივით მუცლები გამოუშვრით და გამაუ-  
ძღარის, ენებიანის თვალვით უყურებენ მკერდ-გულ  
გახანოლ და უნაგრიანი ჩენი დიდ-დედა ვის შეი-  
ლის-შვილებს, რომლებს ტანის სიუხვე და კეკლუ-  
სური მორთულობა სიამოვნების დორბლებს აყრევი-  
ნებს ხსენებულ დაბახანის არისტოკრატებს. აგერ  
კიდეც სხვა-და-სხვანი მუდმივი მხიარულისა და  
ყმაყვილის სახე—გამომეტყველობით ამაყად გად-  
მოაქცერიან დიდს და პატარას და თან კი მოწუწებით  
და კრძალვით შპორიან და ცილინდრიან მოსიერ-  
ნეთ გზას აქლევენ. აკურ მთელი გუნდა „დამა-კა-  
ვალრებისა“ წყვილ-წყვილათ ხელგაყრილი დარეტი-  
ნებული ინდაურვით რატონდას გარს უვლიან.  
პატარა-პატარა, ჩაყვითლებულის სახით და მღვრივე  
თვალვით, ახალ-მოსწავლეთ ერთი არ შინიანი  
პაპიროსი პირში ჩაუჩრით და უწყალოთ ყო-  
ველ გამეღელ-გამოვლელს აბოლებენ. ზოგნი  
„მომწიფულნი“ რაღაც ემაკურის თვალვით,  
ახალგაზღვრის კისკისით, თავისუფალის ქცევით,  
და ლაპარაკით უღვაშ დაწევილებს ყურადღებას  
იპყობენ—მათი უნცროსი ამხანაგებაც არ ჩამორჩე-  
ნილან და პატარა ახალგაზღვრებ მთელი დიპლო-  
მატიური ბაასი გაუმარ-თავთ. იქ ლეჩაქიანი, თავდა-  
ხურული მანდილოსნები ერთათ, თითქოს და-  
უმწყვდევიან ვინამეს, მიკუნქულან, რაღაც კრძალ-  
ვით იხედებიან გარშემო და თან ისეთის ორ-

აზროვან თვალებით—ლიმილით უცქერიან ისე იმ „ღუშქა აფიცრებს“, რომ ვერ მიხედები, პატიოსან თუ როსკივ ღიატო ეკუთნიან ეს ორგული, მანდილოსნები, რადგან აქვე მათ ახლო, სწორეთ ასეთივე ემშაკურის, მუშორის თვალებით გაიბლევრიან „ღიატები“, თითქოს გეუბნებათ „წამიყენეთ... აგერ დახლიღრებიც სხვა-და-სხვა მოდის, ფასონის და ფორმისა; ზოგნი არხალუხში და ზედ სიურტუთ, ზოგი ცილინდრით და პერჩატკებითაც მოკაშმულან და თავიანთ თავი ჩინეთის მანდარინი ჰგონიან. აგერ იმერლებიც კატასავით ნელნელა, ჩუმთ, თითქოს გეპარებინანო, ისე დადიან—ხმა აო იღებენ, ალბათ ფიქრობენ: ნეტავ კორტოხას იქეთ გეკონდეს ეს მუშთაიდი და „დრიგინა მუზიკაო“ აგერ ზოგნი გულით მდიდარნი, ჯიბით ყარბიზი ხარბის თვალეზით სთელიან თითო-თითქო, ლუქმას, რომლით პირს იმსვს, სააღდგომო კელაპტარივით დასუტებული „ჯიბით მდიდარნი-გულით ღარიბნი“.—ამ ჭრელ საზოგადოებას უფრო აქრელებენ მამალ-მამალ კინტოები, რომელნიც თავისებურად ოხუნჯობენ, ყველაზედ რასიეს იტყვიან, ყველას პასუხს გასცემენ. აგერ ერთი „კამპანია“ მეორეს შეხვდა—„ეგ შენ, მაგრამ მე“? უყირის ერთი. „გული ნუ გეწვის, აჰა ესეც შენ“! მიუგო მეორემ და დაიწყეს ხარხარი—ვიღამაც ერთს კინტოს ფეხზედ ფეხი დაადგა—უჰაც-რავთ ეუბნება შემინებულა მოსიერნე... „ნუაჰერის გენაცვალე, ამჟიღებს კინტო, თუ გინდა სულ დამაჯექ, ვითომ შენი სახლიია“ სიმღერითათავეს და გადის ხეივანში. პოლიციის მოხელეები დამჟიღებულან, რომ არაფერი არ ხდება აგერ მთელი ოჯახობაც მოდის; წინ მორბის პაწია ბავშვი, უკან მეორე მომზრდო, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე და ამ გვიარად სიმაღლეს და სისქეს თან და თან ემატება. აგერ „კოკროქიანებიც“—მთელი მათი აგებულება თითქოს გეუბნებათ, ორი აბაზი მომეცი და არზას დაგიწერო, წინ მიეგება „ადვოკატი“—დიდ მუცელა რალაც უშნოთ გაბერილი, ისე იყურება თითქოს ეხლავე მებს ჩამოვაგდებო. აჰა, გახველა გადააფურთხა, მაგრამ საუბედუროთ ფურთხი მის ამხანაგს მოხვდა, რომელიც მოწიწებით თავს უკრავდა—ეს ბატონი სერტუკის ტოტით ცხვირის წვერს იწმენდს... ადვოკატი ყმაყოფილია, ყმაყოფილია მეარზეც... ბეჭრი რამ არის აქ და ვინ ასწერს ყველაფერს. როტონდის გარშემო დიდი ხეივანში დადიან ცხონოსნები და ეკიპაჟიანები—ბეჭერი ახალგაზნა ქალს აუჭგერდა გული აფიცრის ცხენის ჯდომამ, ბეჭერი ახალგაზნა ყმაწვილმა ინატრა ლომივით ცხენები და ახალი კალიასკა ბეჭერი

სხვა-და-სხვა სულს, სხვა-და-სხვა გულმა გაურა. მაგრამ ყველა ესენი, თუმცა ერთმეორეს თან საერთო არაფერი ჰქონდათ, ხსიარულნი იყვნენ. ყველას ეტყობოდა სიამოვნება, აქ ყველას აერთებდა ერთი სურტილი: დროს გატარება—უკუა რომ ესტყვათ დროს მოკვლა—აი ამ სხვა-და-სხვა ჯურის ხალში ჩავიდა ჩვენი ჰამლეტი ლუარსაბისძე—პირველათ ცოტა გაწითლდა—ეტყობოდა რომეშერცხვა, პირიქით რისი—იქნება ეგონა რომ ყველანი იმას დაუწყებდნენ ყურებრებას ან იქნება სხვა რამე მოზეი იყუ; მაგრამ სიწითლე არ შორდებოდა, არამედ თან-და-თან ემატებოდა—ბოლოს ოფლიც დაახა—ბეჭერი წყველა თავისი თავი, მაგრამ ესლა არაფერი გაეწყობოდა—ბოლოს როგორც იყო გავიდა ტყერის პარზედ რომ ხეივანი არის და აქ ოფლი მოიწმინდა და შემდეგ წაიღუღუნა: ნეტა მითხრას ვინმემ, რა მოსიერნე კაცი ვარ!—მაგრამ სულ იმსთის ჩავდივარ მაგ სისულელეს!...

ისარი.

### რუსული თეატრი

ამ დღეებში რუსულ სცენაზე წარმოადგინეს ოპერა „რუსალკა“ რომელიც სუსტად ჩაიარა. სხვათა შორის მჟენიერად შეასრულა თავისი როლი ქ. ბ.—რაინოვისამ. პატარა ოლგას როლს თამაშობდა სცენაზედ ახლად გამოსული არტისტი-ქალი რომანოვსკისა. ახალგაზნა მოთამაშეს აშკარად ეტყობა ნიჭი და საქმის ცოდნა, თუმცა ალაგ-ალაგსუტობდა ძალაღ ტონების აწევაში. მაგრამ ეს გარემოება, ჩვენ გვერნია, იმით იხსენება რომ ქ.ბ.—ნი რომანოვსკისა მეტად მორცხობდა. ჩვენ იმედი გვაქვს რომ ახალგაზნა ქალი მალე დაეჩევეა სცენას და შესაფერს ადგილს დაიჭერს სხვა მოთამაშეთა შორის. მეორედ წარმოადგინეს „ურიაი ქალი“ რომელიც შიაც თავი იჩინა ისევე იმ რიანდ ოვისამ. ელიაზორის როლს ასრულებდა ბ.—ნი სოკოლოვი და საუტხოვოდაც შეასრულა ეს ფრიად ძნელი და საპასუხგებო როლი. დანარჩენებს არა უჭირდათ-რა. ხალხი ორივე წარმოდგენაზე ნაკლებად იყო.

# ყრიელ აკოსტა

ტრაგედია სუთს მოქმედებად

ზუცკოვინსა.

გადმოღებული ი. ბაქრაძის-მიერ.

მოქმედნი პირნი:

(ვაჭარი)

მანასე ვანდერსტრატენი, მდიდარი ამსტერდამელი იედიტი, იმისი ქალი.

ბენ-იოხაი, იედიტის საქმრო.

დე-სილვა, დოქტორი, იედიტის ბიძა.

ბენ-აკიბა, რაბინი.

ყრიელ აკოსტა.

ესთერი, იმისი დედა.

რუბენ } ურთელის ძმები.

იოველ }

ბარუხ სპინოზა, ბავშვი.

დე-სანტოსი } რაბინები.

ვან-დერ-ემბდენი }


სინალოდის მოსამსახურე ქალი.

სეიმონ, მანასეს მოსამსახურე.

სილვას მოსამსახურე.

სტუმრები, ხალხი და სხვანი

მოქმედება სწარმოებს 1640 წ.



მოქმედება პირველი.

ოთახი დე-სილვას სახლში

გამოსვლა პირველი.

დე-სილვა და ბენ-იოხაი.

დე-სილვა (გაალებს შუა კარებს და წინ ბენ-იოხაის წინმძღაარებს).

მას შენ კვლად გაქვს წასვლის იმედი! ტუუილად ჭეჭე რაბინებს! ვერ მოგიხდება! რაკი ჩემს სახლში შენ შემოხვედი აწ შენი წასვლა მე მეუთისებას... ბოდიშს ვიხდი, რომ ესოდენ ხანი მოგაწადე... მაგრამ სომ იგი ეჭიმის მძიმე მოკვლასანი! მას გამარჯობა! კვლავ ჩვენ შორის ხარ! სუელით და გუელით გაძღვნი სალამს!

იოხაი.

მეც წრფელის გუელით მადლობელი ვარ!

სილვა.

და რა ხაირად გამოცვლილხარ შენ! ესლას სრულად ის აღარა ხარ, როგორც წასვედი ამ ორ წლის წინად! უცხო ქვეყნისა ბრწყინვალე მზისგან გხედავ აღრიან დაგაუკაცებულს. დიად, აი აქ, სწორედ ამ ადგილს, განშორების დროს გავოცე ურმასა, ჯერ მოუკმეხვინელს, გადაშლილს შუბლსედ. აწ გხედავ მას ურმას დატკბეულებულს, მის შუბლსა ზრუნვით და თეჭრით მოცულს... მითხარი, მითხარ, ბენ-იოხაი, ნუთუ მეორე სამშობლო მსარე ისე დაგიხვდა, როგორათაცა დედი-ნაცვალნი?

იოხაი.

პირ იქით, ესლაც

მე ამსტერდამი ისევე დამხვდა, როგორც წინად დავტოვე იგი: ვით მაშინ, ესლაც თავისუფლება მის მოქალაქეთ მებრთვისად უღიერთ.

რა ტანჯვაც იმან გამოაირა ისხანისა მონების ქვეშე. — უოკვლივე ეს მას დაავიწყა გაბრწყინებულმა დიდმა ვაჭრობამ. აწ თუმცა იგი მდიდარი არი და წარმატებით გალაღებული, იგი მაინც ჩვენ, ისრაილის ძეთ, მძუწად გვიყურებს.

სილვა.

დიდს პატივსა სცემს

ვაჭრობა ოქროს, რომელიც ჩვენმა ერმა დამალა, როს გერმანდად ჩვენ შეგვიფარა გამოდევნილი ისხანელთა და პორტუგალითგან. შენ რომ უფრო დრმად ჩაჭკვირებოდი ამა საქმესა-მსწრაფელ მისვლებოდი, რომ მხოლოდ ორის მიწეყის გამო ჩვენ გვიყურებენ აქ მკობრულად...

შენ იტინი და მე მანც ვცდილობ  
მეცნიერების წესზედ დავაწყო  
ყოველივე ის, რისაც კი აღსნა  
გულთი მწადან...

იოხაი (ნაპალადვეის ღიმილით ხელს აძლევს  
მას.)

მე არც მაგაში  
არ გხედავ არავითარ ცვლილებას.  
სიღვას, ეჭმისა, მტოდნეს ბუნების,  
მეცნიერების ამპარტანებს,  
ჩვენს მასწავლებელს, ღირსსა მადლობის,—  
ჟურ კიდევ ასსოკს თვისი მეთოდს  
პროფესორული...

სილვა.

და ჭება ყველას,  
ვისაც კი ასსოკს სისტემის ძალა.  
მეც მას მივდექ, რაც არისტოტელმა  
სთქვა. იმანაცა...

იოხაი.

ებრაელებზედ

ღანაწაკობდით...

სილვა.

ჭო, დიად, დიად!  
რომ რესპუბლიკა ჭოლანდიისა  
ჩვენს ერს იწყნარებს და არა სდგენის  
ისე, ვით სხვაგან-დუნაიაზედ,  
რეინსება და ისპანიაში,—  
ამის მიზეზი ორი რამ არი:  
პირველი ის, რომ ისეთი ერი,  
როგორც ერთი აჭაურია,  
რომელიც ჩვენსა დაბადებასა  
დიდს ჰპტივს სტემს და იმასედა  
ამყარებს თავის საწმუნოებას,—  
არ შეუძლიან ასეთსა ერსა  
ჩვენ თვითონაცა ჰპტივი არ გეტყვს,  
ჩვენ, რომელთაცა უწმუნოთ შორის  
წმინდად დავიცვით და შეგინანეთ  
გამოცხადება ერთის ღმერთისა,  
ვით საუგუნო წმინდა ღამპარი,—  
ჩვენ, იმა მეფის შთამომავლათა,  
რომელთაცა იშვა მათ მაცხოვარი.  
მეორე ის რომ, ჩვენ შეამავლად  
იგი სისხლია, რომელმაც შეჭმინა  
თავისუფლება ჭოლანდიისა;  
რომელმა ერმაც თვით გამოცხადა

უბედურება, ტანჯვა მონების,  
არა, ის ერი თვით არ დასტანჯავს  
ტრუ-მორწმუნების გამო სხვა ერსა.  
ჭოლანდიისა რესპუბლიკაში  
ბორკილები სმლად გადაიკეთა  
და ნუთუ იმ სმლებს, ძლევას მოსიღებს,  
გადაიკეთებს კვლავ ბორკილებად  
ჩვენ ტანჯულ ერის დასამონებლად?  
არა და არა, ამას არ იხამს  
ერი გულადი, ჰპტიოსანი.  
აი ეს არის ორი მიზეზი.  
ვიცი, რომ ჩვენთა შემამულეთა,  
რომელნიც სამსლვარ გარეთ არიან,  
შეშურდებოდათ, რა გაიგებდენ  
შენს აქ წამოსვლას.

იოხაი.

მე თვითონ ვრაცხდი

უბედნიერეს კაცად ჩემს თავსა.  
მხარულმა და იმედით საესემ  
ჩამოვირბინე მალაღი მთები  
უცხო ქვეყნისა, და მამის, როცა  
გემმა დაიწყო ხელ-ნელა ცურვა  
მე გავჯექ მარტო და მივეც თავი...

სილვა (გააწუხებუნივს.)

ტკბილსა ოცნებას იმ არსებაზედ,  
რომლის ნახვაცა აქ მოგელოდა?  
განა, შენ კიდევ წარმოიდგინე  
ივლითი წინა ვით მოგეგება,  
ან რა სინაზით გადაგეგება  
შენ გულის სწორსა და საქმრის ყელზედ?  
უეჭველია კიდევ ნახვადი  
მანასეს...

იოხაი.

ნება მომეცი დავჯდე. (ჯდება).

სილვა.

რა მოგდის?.. მივირის... თითქოს დაღლილხარ...  
თითქოს გიტანჯავს გულს მწუხარება...

იოხაი.

მანასე თავის ბაღში სამს დღეს  
მიღებდა სოღმე ჩუეულებრივის  
გულ-გეთილობით...

სილვა.

მერე ივლითი?

ის, რომელიც ისევე აკენიდაძე  
 დანიშნულია შენს საცლოლად?  
 ის, რომელიც მიძისა ნანამ  
 შენ გაკუთვნა და მსოფლად შენ მოგცა?  
 ის-სიყვარული, ის-მეფა შენი?  
 რა ყვავილია! იმისი ჭება  
 მე არა მრცხვენის, თუმც იგი არის  
 ჩემი დისწული...

იოხაი.

მას აკენიდაძე!..

ოჰ, სილვა! მგონია... შენმა დისწულმა...  
 გასტყეს ალთქმა...

სილვა.

მერე, როგორა?

იოხაი.

მოკლედ გეტყვი მას, რაც თვითონ კნახე.  
 მანასე დამსვდა აღერსიანად:  
 იგი უოკელთვის შვილს მემსხოდა  
 და აღტანებით ლაპარაკობდა  
 თავის ივლითის ერთგულებასზედ.  
 შემდეგ დამიწყო მან საუბარი  
 თავის ბაღზედ და იმ სტატუებსზედ,  
 რომელთაც განკებ მისის შეკვთით  
 ფლორენცია და რომი ამზადებს,  
 რუბენსზედ, დიკოსზედ და კადეკ სხვასზედ...  
 რა გაგარძელო, შენც ვარჯად იგი,  
 რომ რასაც იგი ხელს მოახვედრებს  
 ყველაფერს ოქროს ფერსა სდებს...

სილვა (ერთ)

დაიღ,

თუმც არა ერთხელ ოქროს ადგილას  
 ვსედავთ თითბერსა...

იოხაი.

შენ აზობ?...  
სილვა.

არა,

მე არაფერსა... მსოფლად ვასწრობდი  
 ხალასი წონა რას დაიჭერდა  
 იმის ხელშია? არ მომწონს მისი  
 დაწყობილება...

იოხაი.

თვით ბირჟასაცა

აგრე რიგათა არ მოსწონს იგი...  
 მე, რომელსაცა უკვე მიანახავს  
 რომში, პარიჟში, ნეპოლშია,  
 ყველა ის, რასაც ჰოლანდიაში  
 იგი საბრლო ეხლა აკეთებს,  
 მის ბადის ტანებზე უფრო ძალიან  
 მოვიწონებდი, თუ რომ შენას  
 მათი ღვთაება. და დაკუბებდი  
 ივლითს ტრფობითა გასულელები,  
 ბადის ფოკელს სეივანშია  
 და... ორის... ორის წლის გაურის შემდეგ

ვიპოვე იგი—არა უტოლოდ. (ადგება)  
 ვაზით დაბურულს ერთსა მღვიმეში  
 ვისილე იგი; მას გვერდით უჯდა  
 ჩემი უცნობი ვიდაცა გაცი.

წინ დიდი წიგნი ჰქონდათ გაშლილი  
 და მღუმაჩენი ზედ დაწერებდნენ...

მე მათ ნელ-ნელა მიგუხსლოვდი...  
 ივლითმა ისე დამიწყო ცქერა,  
 რომ თითქოს მას მეუბნებოდა:  
 «როგორ გაბედე და შემოსევი  
 დაუგითხავად ჩემს ტანში?»

მაგრამ როდესაც მიხვდა ვინც ვიყავ,  
 მაშინ გი მომცა მან ხელი ცივად.

მე ჩემად ვიყავ და ამ ღუმილით  
 გვეითხებოდი: «ვინ არის ეგა?»

«ეს ჩემი მასწავლებელია»,  
 მიხასუხა მან აღტანებითა,  
 შემდეგ მას უთხრა ჩემზედ ჩემის ხმით:

«აი ეს არის ჩემი საქმეო!»  
 უცნობი გაცი შეკრთა, გავეითლდა  
 და განხედ გაღვა.. მაშინ მე მსოფლად  
 გულ ჩათუთქულმა მისი სახელი  
 ვგითხე ივლითს...

სილვა.

ურთულ აკოსტას

მას ეძახიან.

იოხაი.

რასაკერვლია,

მის სახელი შენც გეცოდინება.  
 მოსამსახურეთ ზასუსი, ცქერა,

შემკრთალი სახე თვით მანასკი,  
მთლად სტატუები მისის ბაღისა,  
მეუბნებოდნენ, რომ შენ ივლითმა  
გიღაღატო...

სილვა.

საშინლად მიგვირს,

ბენ-იოხაი. რასაკვრელია,  
რაც სთქვი, ყველა ის ერთის შესედეით  
უბედურებად გეწიანებოდა...  
მაგრამ მერწმუნე შემცდარი ხარ შენ.  
თუ რომ ივლითმა მიგიღო ცივად,  
განა მისთვის რომ აკოსტა უყვარს?  
რადგან ამ საქმის მოწამე თვით ვარ,  
ეუფრი დამიგლე, ყველაფერს გიტყვი:  
რას შენ წახვედი სამიზღვარ გარეთა,  
ამ დროს აქ განსდა ხმა დიდებისა  
ერთის ჭახუგის მენიერისა,  
რომელიც თუმცა ნიჭიერია,  
მანინ არ არის ფილოსოფოსი.  
როგორც სწერს იგი-მეირად ვაფასებ;  
რასაც სწერს იგი-საბრძნედ არა მხანს.  
ის ისე გრძნობით და აღტანებით  
სწერს, თითქოს იყოს პორტუგალი,  
თითქოს გუშინ წინ მას დაეტოვოს  
მდინარე ტაგოს ღამაში ველი.  
მაგრამ როგორღაც იმისი გული  
ისრავლისა მთ გულს არ ეკერის,  
ცივად უყურებს მათს ჩვეულებას  
და ჯერ აჭამდის არ მოკლენია  
მას ზირი მღვთისა მკვლევანშია!  
ვერ ვიტყვი, რომ ის ერთდებოდეს  
თვის შემამულეთ; მაგრამ არა სტემს  
თაყვანს ჩვენსავით სინაღლასა;  
თითქოს ებრაელს, თითქოს ქრისტიანს,  
მას უყვარს მარად ფუჭი ოცნება  
და ეჭვით უმხერს საწმინტობას.  
აი ამ კაცმა, რაღაც შემთხვევით,  
გაიგნო ჩვენი მანასეს სახლი  
და გააბა მის ქალი ბადეში;  
მაგრამ მერწმუნე, რომ იგი ბადე  
არ არის ბადე ტრფიალებისა;  
აქ მსოფლიოდ მისი ჭკუა მოქმედობს,  
რომლითაც იმან ქალის გონება  
ისე მოჭხნობდა, რომ ესლა იმას

თვისზედ ჭკვიანი არ ვინ ჭკონია  
და ცხაკებებსაც ზიზღით უყურებს.  
რაც გაეწყობა, როგორც არის  
ცოლად ისეთი უნდა შეიერთო  
და როს ის კვალად შენი განსდება—  
ბენ-იოხაი, მერწმუნე მალე  
გამოიტყვება.

იოხაი.

ქალისთვის ტრფობა

და მოწონება—ორივე ერთია,  
რამდენიც მიელ ქალს ვინმე მოსწონს  
იმდენი უფრო მიელაც უყვარს.  
არ მინდა ვიყო მე სხვის მარქაფად,  
თუნდ იყოს იგი ქვეყნის დიდება!...  
განდერსტრატენი სუსტი კაცია,  
შენ ხარ მის სახლის სული და გული.  
მაშ წადით მასთან! დაუძახე  
თქვენს ნაცნობებს და ნათესავებს,  
გაცანთ იმით ყველას აკოსტა,  
ვითა სსსიძო...

სილვა.

ბენ-იოხაი!

რას ამბობ მაგას!..

იოხაი.

თუ ვი თქვენ იგი  
ნათესავებდა უფრო მეტად განსთ,  
რადღაც უყურებთ, შეიყვით სახელში...

სილვა.

ჭკუასზედ სომ არ შემლიდხარ, შეილო?  
შენ ხომ ჩემს მტერზედ ამბობ მაგასა...

იოხაი.

შენს მტერზედ, სილვა?

სილვა.

ჩემი მტრისთვისაც

არ ღადეს ცუდი არ მდომება.  
მაგრამ რომ იმას ჩემის ხელითა  
ჩივანიტო რამ ბედნიერება  
და გავისაღო ნათესავადაც,—  
მე ამას ვივამ, შენგან არ მიგვირს.  
ჯერ ამას წინად აქ გამოვიდა  
ერთი თსულებს ურთიელისა,



ხადისუბრი ლექსები.

სამკაცს ტასტი ბროლია, გადნაწერი ლაღია,  
 შიგა ზის ისპან ეენი, გეერ უსხედს სულოს ბანია,  
 მოშირიე და მოლექსე, სიძე და ცოლის ძმანია,  
 დაკსდეთ, დაწეროთ წიგნები, შვიდ კენი, შვიდი მხარია,  
 წამოკაყენოთ ჩიკრიკი, წელს შამოკარტყათ ხმალია;  
 ადე და ხუენო ჩიკრიკო ასწორე დლე და ღამეა,  
 ვინც მოვა გამარჯვებული ხალათი გაკაკარია,  
 ვინც მოვა ცამოქტეული მუხანათი და ბრალია.  
 აღინჯვის ბიჭი მოდის შეუკენნა თმანია,  
 ბიჭო რა იყო ეგეთი, რას გამოგაერამს თავია.  
 აღინჯვის ქალაქი დასწვეს, ზეცას ჯიდა ლია,  
 ტყვე ნახირულეს გატეკეს, არჩიეს ქალი, რმალია,  
 სამკაცს იქით გადავიდნენ, სუფარი ნახეს ზარია,  
 გარშამო შამოუარეს, ვერა უღოკეს კარია,  
 ფეხი ჰკრეს, კედელი შაღეს, გამოიფანეს ქალია,  
 მას დედამთილი მოსტირის, ჩამოსდის სისხლის ღვარია  
 საღამოს ბიჭები მოვლენ, სოღავათი შეიკერებისა,  
 ნახობღავათებს ჭბაბუესა ქვე ძილი მოუნდებისა.  
 დასახსნულად მოდიოდნენ, თეთრი მოჭქონდა ქილითა,  
 დაისხნეს წამაიფანეს სიმღერითა და ლხინითა.

(შეკრებილი ნათლულელი სოსოსგან.)

ნეტავი, ქალო მე და შენ ყანები მოგკსცა ზიარი,  
 შიგ სამარგელი მოჭრია, გარს დიდი წარაფიანია.

არაღალა კოხტა ქალო, გეერდსედ მოგიოთონხე კალო,  
 წინ სიძინდი დაგიოთეს და იუარა ადლი ტარო.

გოგოკ, დედი შენის შვილო გადხრილო თქოშია,  
 შენთან ასრე მოვისეკნებ, როგორც ფური ეზოშია.

ქსლანდელი სანადირა გურდლედი და შელია  
 ქალო ერთი მაკონინე—გული გადაშელია.

შენ სავარცხელი რათ გინდა და ლალი ოქროს ფერია,  
 წამწამსა და წამწამს შუა ბაღი აგიშენებია,  
 შიგ სურვილი დაგიოთეს კაცი მოგიუნებია.  
 გაცის მოყენებისათვის მადლი მოგიხსენებია.

(შეკრებილი სოფ. საგარეჯოში ი. მჭ—შვილისგან)

აიღვ რუსთაშლის ხელობაზედ.

ერთი რუსული ანდაზა იტყვის: სჯობს გვიან,  
 ვიდრე სულ არაო. მეც ამ ჩემა პასუხს თუმცა გვი-  
 ანა ვსწერ, მაგრამ ეფიქრობ, რომ ამ დაგვიანებით  
 არა შევდბა რა.

სოსლანის პასუხი რუსთველის ხელობაზედ მე  
 თითქმის ორი თვეა, რაც ვაგვზანენ „НУЖНО  
 Обозрѣнне“-ში. მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით არ  
 დაიბეჭდა. ახლა ვსწერ ისევე „მეატრის“ ფურცლებ-  
 ზედ. მიზეზი დაგვიანებისა არის ჩემი ქალაქს გარეთ  
 ყოფნა.

ჩემს აზრზედ, რომ: რუსთველისავე სიტყვით,  
 ის იყო ხელობით რუსთველი, დაიბეჭდა სამი წინა-  
 აღმდები აზრი. პირველი, რომ რუსთველი ამას კი  
 არ აპრობს, ვითომც ის ხელობით რუსთველი იყოო,  
 არამედ იმას ამბობსო, რომ მე ხელობით მოშირიე  
 ვარო. მეორე, რომ ამგვარს ხელობას, როგორც მე  
 ვამბობ, ხელობა კი არა ჰქვიან, ჰქვიან თანამდებო-  
 ბაო. ეს ორი აზრი ეკუთვნის „მეატრის“ რეცენ-  
 ზენტრს კალამს. მესამე აზრი წარმოითქვა სოსლანი-  
 სგან. ეს აზრი არის ისა, რომ ხელობა არის ჰკუი-  
 დამ შემლა და არა ის აზრი, რაც ფურცლადმე უნ-  
 და სთქვასო.

პირველს აზრზედ, მე მოეთხოვე „მეატრის“  
 რეცენზენტს ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც ამ ადგი-  
 ლას რუსთველი ან აზრათაც არის მანც იხსენიებ-  
 დეს, რომის ხელობით მოშირეა. არ მიჩვენეს და  
 არც არის. მაშასადამე, უნდა ეს ჩაითვალოს ფუქად.  
 რაც შეეხება მეორე აზრს „მეატრის“ რეცენზენტი-  
 სას, რომ მაგვარს საქმეს, რასაც მე ვამბობ, თანამ-  
 დებობა ჰქვიან და არა ხელობაო, ამისი უნდა ვთქვა  
 რომ ჩვენი რეცენზენტები რომ თავის რეცენზიების  
 ღირსებას სალახანურს გინებაში არა ჰხედადენენ და  
 ჰქონდეთ გამოკვლეული და შეგნებული, რომ რე-  
 ცენზიებს, გარდა ბევრი სხვა გონივრული ღირსები-  
 სა ცოდნაც უნდა, ჩააკვირდებოდნენ საქმეს და გაი-  
 გედნენ, რომ თანამდებობა ВЪ СМЫСЛѢ ДОЛЖНОСТИ,  
 არა ხმარებულა ამ უკანასკნელს საუკუნედის არა  
 ქართულს წრეში და არც ენაში. ამ სიტყვას არ იც-  
 ნობს თვით საპას ლექსიკონიც და არცა აქვს საბას  
 ეს სიტყვა. მსგავსი ამ სიტყვისა არის ნახმარი „მა-  
 მარო ჩვენოში“: თანამდებნი ჩვენნი, თანამდებთა  
 მათ ჩვენთა. რუსულად არის: ДОЛГИ НАШИ, ДОЛЖ-  
 НЫКАМЪ НАШИМЪ. ცხადია, რომ აქ არის ლაპარაკი  
 ვალსა და მოვალეზედ და არა იმ თანამდებობაზედ.

3 აბო 1902

რომელსაც დღეს ДОЛЖНОСТЬ-ს ეძახიან. ამ სიტყვას შეხედება კაცი ვახუშტის „ქართლის ცხოვრების“ ბოლოზედ. დავით რექტორის წარწერაში. „ალარ დასცალგებოდა (ვახტანგ მეფეს ქართლის ცხოვრების დაწერა) თანამდებობისაგან სიკედილისა. აქაც ცხადია, რომ სიტყვა თანამდებობა არის ნახმარი ВЪ СМЫСЛѢ ДОЛГА, а не ДОЛЖНОСТИ, რადგან შეუძლებელია დავით რექტორი ამბობდეს: ვახტანგს სიკედილის ხელობა (ДОЛЖНОСТЬ) ეჭირაო. რაც შეეხება სიტყვას ხელობა, მოხელე, ВЪ СМЫСЛѢ ДОЛЖНОСТИ იხმარება ყველგან წიგნებშიაც და ლაპარაკშიაც. მაგალითათ, ეხლაც სოფლის ხალხი იტყვის და სულ ასრე ჰხმარობს: სოფლის მოხელენი, პოლიციის მოხელენი, ლუბერნატორის მოხელენი, სუდარს მოხელენი. რა ხელობა აქვს?—ლუბერნატორია, ზემღემერია, პრისტავია, დამბეგია, ნაჩაღნიკია, პოლიკის კომანდირია. საბას ლექსიკონშიც სხვა ნახმარი: კეღობა-მუხაკობა რამ. ძველად იმ სიტყვის გამოხატავად, რასაც რუსულათ ДОЛЖНОСТИ ჰქვიან, სხვა სიტყვა არ იყო. სიტყვა თანამდებობა, ВЪ СМЫСЛѢ ДОЛЖНОСТИ, როგორც ზემოთაც ითქვა, შემოვიდა ამ საუკუნეში. ყველა დამერწმუნება, რომ გამოტყუნება იმ სიტყვისა, რომელიც ხმარებულა უხსოვარი დროდამ, იმ სიტყვით, რომელიც შემოვიდა გუშინ და ერთი ორი კაცის მეტი არა ხმარობს ძალიან გასაბედი საქმეა თვით იმისთანა რეცენზენტებისაგანაც კი, რომელთაც გინება და უშეერება პირველ დამარღვეველ საბუთათ მიაჩნიათ. მაშასადამე, ეს აზრიც უნდა ჩაუფუშვილათ ჩაითვალოს. «თეატრია» რეცენზენტის ორივე საბუთი გამოდგა უსაბუთო და უსაფუძვლო.

გადავიდეთ ახლა დავით სოსლანის აზრთან.

დავით სოსლანმა, იმის მაგიერად რომ გასძიას გონება, გაისარჯოს თვითონ და იპოვოს საბუთები თავის აზრის გასამართლებლათ, უცნაურს ღონეს მიმართა და უცნაურს გადაწყვეტილებასაც დადგა, ჯერ იღანძღა მოუღალავედ მერე იყვირა რომ მე ვარ რაცა ვარო. ბოლოს გადაწყვიტა, რომ ამ საქმის გადაწყვეტა მივანდოთ გოგებაზედ და ჰეგელისა და სხვათა თუ ესენი იტყვიან, რომ მე ვტყუები, მაშინ „საქვეყნოდ პირობასა ვდებო, რომ ჩემს სიტყვებში არც რუსულს და არც ქართულს მწერლობაში არ ვაგერო“—ვო.

წარმოიდგინეთ, რა იაფად დაუფასებია სოსლანს თავის ლიტერატურული მოღვაწეობა თუ ამ საქმეში ვაგმტყუნდი, მწერლობაზედ ხელი ამიღიაო. ვგ პატივი და ღიდება სოსლანისათვის, რომ თვითვე

აღვიარებს თავის მოღვაწეობას ისრე უმნიშვნელოდ, რომ ამ უბრალო საქმისთვის აპირებს მაზედ ხელის აღებას, მაგრამ წარმოიდგინეთ ის მწერალი, რომელიც საცნებზედ კი არ აყარებს თავის სიმაართლეს, აყარებს ავტორიტეტზედ. თუ ჰეგელისა და გოგელისაზედ ბრძანეს მტყუანი ხარო, მტყუანი იქნება, თუ ამათა ბრძანეს მართალი ხარო—მართალი იქნება. თუ კი ამათი გადაწყვეტილება ისრეთ შეუტდომელ ჰეგელისაზედ მიაჩნია უფ. სოსლანს, მაშ რათ გაუხდია ისინი სიტყვისა და ლანძღვის მასალათ! დავანებოთ ამასაც თავი. ვთქვათ სოსლანი თვითონაც აღვიარებს ამათ უტოდველათ. ახლა რა დამამტყიცებელი საბუთია იმათი გადაწყვეტილება თუ ეს გადაწყვეტილება არ იქნება საბუთზედ დამყარებული? თუ იმედი აქვს სოსლანს, რომ ესენი თავის გადაწყვეტილებას საბუთს დაამყარებნო, მაშინ იმათთან წასვლას, და შევლის, დახმარების თხოვნას, თათონ მოძებნოს ეს საბუთები და გვაჩვენოს. საბუთებს როგორც ჰეგელისა და გოგელის ხელში, ვგრეთვე სოსლანის ხელში ერთი და იგივე ძალა აქვთ.

საბუთები კი სოსლანს თავის აზრის დასამტყიცებლათ ბევრი ჰქონდა, რომ ლანძღვის მაგიერათ საქმის ძებნით და გამოკვლევით გატაცებულიყო.

საბუთებიც ისაა ჯერ ერთი, რომ ბევრს ძველს წერილში იპოვიდა ამის ორფოგრაფიულს დამტყიცებას. ხელობა სიგეისა იწერება ამგვარი ასონი თავში ს, ხელობა ВЪ СМЫСЛѢ ДОЛЖНОСТИ ანუ რამე საქმიანობისა იწერება ასონი ვ. როგორც ვახტანგ მეფისგან და ბეგებისგან გამოცემულს ვეფხვის ტყაოსნებშიაც იწერება ასრე: მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი. რაკი ეს ასრეა, ამ ასოთი იწერება, ცხადია, რომ, თუ რუსთველის ვეფხვის ტყაოსნიდამ არის ასრე გადმოწერილი სოსლანის აზრი მართალია. მეორე საბუთი, რომელიც ამტყიცებს კიდევ სოსლანის აზრს, მეფე ვახტანგი თავის ვეფხვის ტყაოსნის ახსნაში, სწორეთ ისრე ხსნის, როგორ სოსლანი: რუსთველი თავის სიგეზედ ამბობსო, აი, რა საყურადღებო საბუთები იყო თვით წიგნებშივე, რომ სოსლანს დაჩვეული არა ჰქონდეს ენა და გონება უსაფუძვლო ლანძღვისა და ლაპარაკს.

მაგრამ, რო კაცი ჩაკვირდეს კარგათ, არც ეს საბუთები დაარღვევენ ჩვენგანით წარმოთქმულს აზრს. და აი რატომ.

ჯერ ერთი, რომ არაინ იცის ის ორფოგრაფია ს და ვ რუსთველს ეკუთვნის თუ გადამწერებს, ამი-

ტომ რომ შეხედება კაცი ძველს ვეფხვის ტყაოსანს ამგვარად დაწერილს: მე რუსთველი კელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი, ვის მოაჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ესელობ, მისთვის მკედარი. აქ სწორეთ იმ სადაო შემთხვევაში იმ ორფოგრაფიით იწერება, რომელიც ჩვენს აზრს ამართლებს და უდაოში ესელობ არის ის ორფოგრაფია, რომელიც სიგიჟეზედ არის. რუსთველის ხელნაწერში კი არაფერ ვიცი, როგორ არის ნახმარი თავიასონი.

მეორე, რომ სოსლანისა, ვახტანგ მეფისა, ჩუბინოვსა და ბროსეს აზრი მართალი იყვეს, აი რა გამოდის აქედამ, რომ გადაეთარგმნათ დღევანდელს გასაგონს ენაზედ ეს ხანა.

მე რუსთველი სიგიჟითა ჩაედივარ ამგვარს საქმესა, რომა ვარ გაგიჟებული მისთვის, ვისაც მთლათ ჯარნი ემონებთან.

აბა ჩაეფიქრდეთ, რომელი სიტყვის წყობაა: სიგიჟითა ვარ გაგიჟებული? ამაზედ იქვი არ არის, რომ ამბობს თამარის სიყვარული ვარო. მაგრამ რომ იმას ამბობდეს რუსთველი: სიგიჟითა ვარო გაგიჟებული, მაშინ, მართლა რომ, გიჟი უნდა იყვეს ამისი მთქმელი. ეგ იმ ქართულ დაცინვას ეგვანება: მკედარი მოკვდაო. თუ მკედარია, რაღა მოკვდა? თუ გიჟია რაღას გაგიჟდა და ი. ი. სიგიჟით გაგიჟდა!?

ჩაეკვირდეთ ამ ყველა ჩემს წინააღმდეგ საბუთებს და ენახოთ: მქონდა თუ არა საბუთი მეთქვა, რომ რუსთველი თვითონვე ამბობს რომ რუსთველობა იყო ჩემი ხელობაო.

ა. ფურცელაძე.

საარითმეოთიკო გამომცანა

ერთმა მუხატონემ ქ. თბილისში ღვინის საწდამო გააღო. გააშრო 36 ბოჩკა ღვინით და გამოუგზავნა სირაჯს. სირაჯმა 12 ბოჩკა თავის სასლში გაგზავნა, დანარჩენი საწდამოში დააღვრა და მუხატონეს შეუთვალა: — მე შენთან მუხატა სამსახური არ შემიძლიან და გთხოვ შენის საწდამო ჩაიხარო. მუხატონე გამოცხადდა, საწდამო ჩაიხარა. კითხვა: როგორ მოახერხა და როგორ დააღვრა ბოჩკები სირაჯმა რომ 27 ბოჩკა ღვინო 36 ბოჩკათ შეატყუა?

ნ ა რ ე ვ ი

კერპობის დროსა ერთმა დედაკაცმა ქალი გაათხოვა და ქმართან გასტუმრების დროს შემდეგი დარიგება

მისცა: „არამცა-და-არამც დედამთილს, მამამთილს და ან ქმარს სიტყვა არ შეჰკადრო, უზრალოდ ხმა არ გასცე, თორემ მაშინვე მოკვდებიო“. ქალმა დარიგება პირდაპირ გაიგო და მართლა ქმრის ოჯახში ხმა არ ამოიღო. გაეიდა რამოდენიმე ხანი. ეყოლა ამ ქალს შეილები: უსუბი, ბადრი და ლომ-დავითი. ქმრის დედ-მამამ იფიქრეს: „ჩვენმა რძალმა ხომ ლაპარაკი არ იცის (მუნჯია) და ესე როდემდის უნდა იყოსო. უთხოვეს შეილს მეორე ცალი. ქორწილის დროს სახლში ქვებით თაფლი ედგათ ცეცხლზედ. თაფლი აღუღლა და გადმოდენა დაიწყო. ხელათ ვერაფერი იბოვეს სახლში, რომ ცხელი ქვებისთვის მოეკიდნათ და ცეცხლიდგან გადმოედგათ. პირველმა რძალმა მოჰკიდა ქვებს თავისი ქათმის კალთები და ცეცხლიდგან ისე გადმოდგა. დაინახა ეს ახალმა ჰატარძალმა და დაცინვით სთქვა. «დახედეთ, რასა სჩადის!» დაცინვა გაიგო პირველმა ლმა რძალმა და ლექსით უთხრა:

„ას მოჰფრინდი, მოჰკაქკაქდი,  
მოჰყროლდი ნიორსავეითა.  
უსუბ მიშობნია,  
ბადრი გამიზღია,  
ლომ-დავით უბეში მიწვეს,  
ჯერ ხმა არ ამოუღია.  
დედასთან ცხენი აფრინეთ,  
ხომ არ მამკედლომია?«

(შეგრუბალი ღ. დოლოჯოვისაგან.)

სომხური თეატრი

წარსულს ოთხშაბათს სომხურმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა გუტკოვის ხუთმოქმედებიან დრამა „ურეღ აკოსტა“ ბ—ნი ადამიანი თამაშობდა თავი როლს და უნდა გამოეტყუდეთ რომ საზოგადოთ სუსტი ურიღ აკოსტა იყო, თუმცა ალაგ-ალაგ შეუდარებლად და გასაოცრად ჰხატავდა წერილობან სულიერ მოძრაობას. დანარჩენებში მარტო ბ—ნი ავალიანი (დეილივა) იყო რიგიანი. ხალხი წინანდელზე მომეტებული იყო.

ფ ე ლ ე ტ ე ნ ი  
ქართული გამოცნებები

სამნი არიან შემხადებულნი, ვით სული სორცია და მისი გრძობა,  
ცალ-კეძო ცალი ხომ არ ანათებს, თქვენცა იცით ეს,  
არ უნდა თხრობა,

ერთი იწებება, მეორე დნება, მესამე არის ნათლის ცნობა. ვით ვერ მისვდებით ქრისტიანულად, მე ხომ არ მიიჭებას სულის გამობა.

ღმკუელს რასმე ქმნილებაში ერთი რამე განბი წვესა, მუდამ მატობს, არ აკლდება, არც სასული შიგან ძეგსა, ვინც იუნჯა ვერც იმან სცნო, ვერც სასმარად მიეობ სედსა. გამობება არ ვის ძალ-უმს, თვით აღიწივს მოსვლის დღესა.

იგი წმიდა წმინდა ალგს მოადიდობს სეს ძირობით ტბილს მოისხამს ის ნყოფას, ტყავი აკრავს გარს წმინდობით, დამძალს სკამ კარგი არის, მეფეთ იცხონ-იდიდების უიძისათ არც კურთხევა, დამარსვასაც ვერადებით. (შეგრებილი ფოდოსია თავდგირიძისაგან.)

### ა ნ ე გ ლ ო ტ ე ბ ი

გლესმა უელიანი წაღები იეიდა და ზედ შუა გზა-ზედ დაეძინა. გამოიარა ურმიანმა კანმა, ვერ მიინარეს წაღები განადა, თავისთვის გადაძალა და მერმე ღვიძება დაუწყო: «აღე, კანო, ურეში განატარო, ფესებზედ არ გადავიაროს—გაიღვიძა გლესმა, დაისედა ფესებზედ და შიუგო:» გაატარე ურეში, ეს ჩემი ფესები არ არის; მე წაღები მარჯია და ისეკ დაიძინა.»

ერთმა კანმა თავის მეზობელს საარაყე ქებას სთხოვა და როდესაც უკან მიუტანა ერთი პატარა ქება-ბიც შიგ ჩადგა. პატრონმა ჰკითხა: ეს პატარა ქება რაღაა?

— შენმა ქებასა მოიგო, უთხრა მიმტანმა. ვა-ვიდა რამდენიმე ხანი და ამან კიდევ სთხოვა ის დიდი ქება: მარამ აღარ დაუბრუნა. პატრონმა სასამართლო-ში უბიჯა: ქება მთხოვა და აღარ მაძიებსო. მისამართლემ ჰკითხა: რატომ არ აძიებსო?

— როგორღა დაუბრუნო, რომ მომიკვდავო!

— როგორ თუ მოიკვდავო?—როგორ, ბატონო და ერთსულ ვითხოვე მოკებით და შვილიანათ დაუბრუნე, ესლხა კი საცოდავი შეილოხნობას თან გადაყვა!

ერთმა კანმა საუენის სიმაღლე ყუთი შეუჭკვთა ღურ-გაღს. ღურგაღმა კუბო გაუჭკვთა და დასსა რაზა კოჭკაცი. როდესაც მსუიდეღმა ყუთი მოსთხოვა იმან კუბო დაუდგა წინ. „ეს რა არის, მე ყუთი გითხარი და არა კუბოა!—, თქვე დალოცვილო, კვ არა სჯობიან? ვიდრე ცოცხალი ხარო, ყუთათ იხმარეთ და როცა მოკვდებით კუბოთაო, მიუგო ღურგაღმა.

(შეგრებილი თეოფ. ხუსკივაძისაგან)

გამოვიდა და ისეიღება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

## ქართული წერის დედანი

მ. შ ა ბ ი ჩ ვ ა ძ ი ს .

ფასი 30 კაპ.

ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეკემპლიარს იეიდის, ეკემპლიარი 24 კაპ. დაეთობა და გაეკზავნება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მსხვილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ელიმენტებით; 2.) დანატარავებული საშუალო გრგვალი ხელი უბადეოთ ოთხს ხაზში; 3.) გადაბმული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს ხაზში და 4.) გადასრილი (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ გადაბმულად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით. დედანს აქვს სულ 24 კვერდი.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.